ECONOMIC POLICY OF ATTRACTING FOREIGN DIRECT INVESTMENT TO GEORGIA IN THE POST-PANDEMIC PERIOD

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში

Gulnaz Erkomaishvili
Doctor of Economic,
Associate Professor of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
Tbilisi, 1 Ilia Chavchavadze Avenue, 0179
+995 577041104,
gulnazi.erkomaishvili@tsu.ge
https:// orcid.org/0000-0001-8202-5655

Abstract. The Coronavirus Pandemic has caused unprecedented turmoil in the global economy. This was especially reflected in the attraction of foreign direct investment into the country. The role of foreign direct investment (FDI) is important for the development of entrepreneurship in Georgia. This is an important factor in economic growth. Today there are not many large corporations and companies in Georgia, the income from which could be reinvested in the economy. Therefore, Georgia's dependence on foreign capital is very high. However, attention is drawn to the negative consequences associated with the activities of foreign investors.

The article presents the economic policy of attracting foreign direct investment to Georgia in the post-crisis period. It is noted that most of the investments made in Georgia in 2019-2020 are in the construction sector. Investments are less focused on supporting sectors such as agriculture and manufacturing, for which Georgia has a raw material base and agricultural traditions. It is also noted that the volume of investments in comparison with the regions in the capital is quite large. This trend has been observed for almost the entire past 10 years. Foreign capital is still concentrated in large administrative cities. State activation is necessary, because in addition to these cities, other regions are also becoming attractive to investors. An important factor remains the problem of qualified personnel, which puts on the agenda the need for a rapid modernization of the education sector and the legal framework. The state should take more effective steps to create an attractive investment environment. However, it should be noted that work in this direction is underway and continues.

In the post-pandemic period, the main direction of stimulating the inflow of foreign investment is the establishment of various benefits. This is used by both foreign and local investors. Benefits include fiscal, financial and other benefits. However, it should be noted that the decision of a foreign investor to invest in a country depends on a number of factors, and different types of incentives are not an important factor. Political and economic stability, existing legislation in the country, infrastructure, proper functioning of financial institutions, labor force qualifications, etc. are critical. These criteria determine the political and economic ratings of all countries of the world, which are of great importance for foreign investors when making investments.

The study identified factors that promote and hinder the attraction of foreign direct investment.

The development of investment projects should be based on national interests, as well as on natural, historical, ethnocultural and economic characteristics and needs of the regions. To do this, it is necessary to develop regional mechanisms for stimulating investment using tax and budget preferential levers.

Key words: Foreign direct investment, Economic Policy of attracting foreign direct investment, Post-pandemic period, Investment projects.

გულნაზ ერქომაიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, საქართველო
+995 577041104, gulnazi.erkomaishvili@tsu.ge
https:// orcid.org/0000-0001-8202-5655

აბსტრაქტი. კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ უპრეცედენტო ძვრები გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკაში. განსაკუთრებით ეს აისახა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი-ს) მოზიდვაზე ქვეყანაში.

ნაშრომში გადმოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული მდგომარეობა საქართველოში. მისი მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში. აღნიშნულია, რომ 2019-2020 წლებში საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი სამშენებლო სექტორზე მოდის. ინვესტიციები ნაკლებადაა მიმართული ისეთი სექტორების ხელშეწყობისათვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი მრეწველობა, რისთვისაც საქართველოს გააჩნია სანედლეულო ბაზა და სამეურნეო ტრადიციები. მნიშვნელოვან ფაქტორად კვლავ რჩება კვალიფიციური კადრების პრობლემა, რაც განათლების სფეროს და საკანონმდებლო ბაზის სწრაფი მოდერნიზაციის აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში. სახელმწიფომ უნდა გადადგას უფრო ქმედითი ნაბიჯები მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიმართულებით მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

ინვესტიციური პროექტების შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე რეგიონების ბუნებრივი, ისტორიული, ეთნოკულტურული და და ეკონომიკური თავისებურებები და მოთხოვნები. ამ მიზნით საჭიროა ინვესტიციების სტიმულირების რეგიონული მექანიზმების შემუშავება საგადასახადო და საბიუჯეტო პრეფერენციული ბერკეტების გამოყენებით.

საძიებო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა, პოსტპანდემიური პერიოდი, ინვესტიციური პროექტები.

შესავალი. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვითარება, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საინვესტიციო აქტიურობის დონით და საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბებით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და ა.შ. იგი განაპირობებს ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და სხვ.

საქართველო დღეს ცდილობს რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში არსებული სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნით და ასევე იაფი მუშახელის შეთავაზებით, თუმცა შეთავაზებულ იაფ მუშახელს ძირითადად არ შეუძლია ხარისხიანად მშენებლობა, მომსახურების გაწევა, რემონტი, გზების დაგება, ინოვაციური პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასევე ქვეყანაში პრობლემურია თანამედროვე ტექნოლოგიების სათანადო დონეზე ფლობა და ახალი ტექნოლოგიების შექმნა. ამიტომ მანამდე, სანამ ქვეყანაში სისტემურად არ შეიცლება მიდგომა და არ მოხდება კვალიფიცირებული კადრების შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად მომზადება და ინვესტორებისთვის მიწოდება, ვერ მოხერხდება უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაშიც კი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონის მნიშვნელოვანი ცვლილება. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ირგვლივ ყველა ქვეყანა ცდილობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ამიტომ ინვესტორს დიდი არჩევანი აქვს, შესაბამისად, ამ მიმართულებით მაღალია კონკურენციაც.

აქტუალობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოსთვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოში დღეისათვის არ არის ბევრი მსხვილი კორპორაცია და კომპანია, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია. თუმცა ყურადსაღებია უცხოელ ინვესტორთა საქმიანობასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგებიც, კერძოდ, ჯერ ერთი, კონკურენტული უპირატესობების მქონე უცხოურ კორპორაციებს შეუძლიათ ეროვნული კომპანიების შევიწროვება საქონლის ბაზრებზე. მეორე, ეს კორპორაციები თვითონ იღებენ ეროვნულ ბაზრებზე არსებული რესურსების, მათ შორის ფინანსების, საგრძნობ ნაწილს და შესაბამისად, ამოსავალი ყოველთვის უნდა იყოს ეროვნული ინტერესების დაცვა.

კვლევის მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული მდგომარეობის შეფასება და მისი მოზიდვის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის ეფექტიანი გზების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ეყრდნობა ქართველი და უცხოელი მეცნიერების, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებში გამოქვეყნებულ ნაშრომებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების ანგარიშებსა და სტატისტიკურ მონაცემებს. კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, რაოდენობრივი და თვისებრივი, განზოგადების, გრაფიკული და მონაცემთა ანალიზის მეთოდები.

ლიტერატურის მიმოხილვა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უცხოელ ინვესტორებს აქტივების უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებას აძლევს, ხოლო ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებს უკეთესი ტექნოლოგიის ათვისების, საერთაშორისო წარმოების და სავაჭრო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას სთავაზობს (Athukorala, 2003).

ჯ. დანინგის ინვესტიციების მოზიდვის თეორია 4 ძირითად მოტივაციას ითვალისწინებს, კერძოდ: ა) რესურსების მაძიებლები; ბ) ეფექტიანობის მაძიებლები; გ) ბაზრის მაძიებლები; დ) სტრატეგიული აქტივების მაძიებლები (Dunning, 1981)

დანინგის და ნარულას თანახმად, ერთი მხრივ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და, მეორე მხრივ, ცალკეული კომპანიების/ქვეყნების: მფლობელობის, ადგილმდებარეობის და ინტერნალიზაციის უპირატესობები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იცვლება (Dunning, J. Narula, R. 1996). მოდელის საქართველოს რეალობაზე მორგებისას, გასათვალისწინებელია მოცემული ქვეყნის პროგრესი ბოლო წლების განმავლობაში. აღსანიშნავია როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ასევე საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მართალია, ძალიან ნელი, მაგრამ მიზანმიმართული ნაბიჯებით მიმდინარეობს შრომატევადი დარგების, ტექნოლოგიატევადი დარგებით ჩანაცვლება, რაც, ძირითადად, ბოლო წლების განმავლობაში მომსახურების სფეროს განვითარებით შეიძლება აიხსნას.

1997-2004 წლებში საქართველო ინვესტიციური განვითარების გზის საწყის, პირველ საფეხურზე იმყოფებოდა, შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარამდე მერყეობდა და შესაბამისი წლების მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოებით 5%-ს შეადგენდა. ამ წლებში განხორციელებული ინვესტიციები თითქმის მთლიანად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასა და, ნაწილობრივ, სახელმწიდო ქონების პრივატიზების შედეგად მოემართებოდა საქართველოში. 1997-1998 წელს შემოდინებული დიდი ოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითქმის მთლიანად სუფსას ტერმინალის და ბაქო-სუფსას ნავთობსადენის მშენებლობაზე იყო მიმართული. აგრეთვე მნიშვნელოვანი ინვესტიციური ნაკადი 1998 წელს „აიეს თელასის“ 75%-იანი წილის ამერიკულ კომპანიაზე გასხვისებამ გამოიწვია (Clinton, 2003). პრივატიზაციის შედეგად შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები მნიშვნელოვანი იყო მომდევნო წლებშიც.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ჭრილში საქართველო მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. თუმცა, ჯერჯერობით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით, ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი და ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას. აქვე უნდა ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ხშირ შემთხვევაში, არა მიმღები ქვეყნის მაჩვენებლების უპირატესობებზე, არამედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტიორ ქვეყნაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზეა დამოკიდებული, აგრეთვე - ისეთ გლობალურ მოვლენებზეც, როგორიცაა მსოფლიო ფინანსური კრიზისი ან პირიქით დ მსოფლიო ეკონომიკური ბუმი (ჭარაია, 2015).

შედეგები/დისკუსია. საქართველოში საკმაოდ სერიოზული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1993-1994 წლებში იქნა განხორციელებული. ეს განსაკუთრებით შეეხო მოპოვებითი მრეწველობის დარგებს. ინვესტიციების დაბანდების ზრდის მაღალი ტენდენციები გრძელდებოდა 1996-1998 წლებში. 1998 წელს დაფიქსირდა საქართველოში უცხოური ინვესტიციების დაბანდების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები,

მან მაქსიმალურ დონეს 288,04 მილიონ დოლარს მიაღწია. მაგრამ, ამავე წლის მეორე ნახევარში განვითარებულმა საგადამხდელო და საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისმა, ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრმა მერყეობამ და ინფლაციამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის მეურნეობის აღორძინების პროცესს, დაძაბა სოციალური ფონი სახელმწიფოში. პოლიტიკური, სავალუტო და საფინანსო რისკის ზრდას თან მოჰყვა არსებული საინვესტიციო პირობების გაუარესება და ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი შემცირება.

უკანასკნელ წლებში საქართველოში პუი-ების მოზიდვის მიმართულებით რეკორდული აღმოჩნდა 2014 წელი (იხ. დიაგრამა 1), როდესაც მისმა წლიურმა მაჩვენებელმა 1 მლრდ 837 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2007 წლის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელია და 2013 წლის მონაცემებს 87%-ით აღემატებოდა. პუი მკვეთრად არის შემცირებული 2020 წელს (616,9 მლნ აშშ დოლარი), რაც კოვიდ-19 პანდემიით არის გამოწვეული. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი ასე გამოიყურება: გაერთიანებული სამეფო - 49.9%, ნიდერლანდები - 27.9%, თურქეთი - 17.5%, დანარჩები ქვეყნები - 4.7% (www.geostat.ge).

2021 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2020 წლის მაჩვენებელს ორჯერ აღემატება. ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამივე კომპონენტის - სააქციო კაპიტალის, რეინვესტიციისა და სავალო ვალდებულებების მაჩვენებლის გაზრდით.

2021 წელს პუი-ს ყველაზე დიდი წილი გაერთიანებულ სამეფოზე მოდის -596.6 მლნ აშშ დოლარი (51.7%), შემდეგია ნიდერლანდები - 125.9 მლნ აშშ დოლარი (10.9%) და ჩეხეთის რესპუბლიკა -81.8 მლნ აშშ დოლარი (7.1%).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2014-2021 წწ.
მლნ. აშშ დოლარი

დიაგრამა 1



შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით /www.geostat.ge/

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2022 წლის პირველ კვარტალში 568.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 435.7 მლნ. აშშ დოლარით (4.3-ჯერ) აღემატება 2021 წლის პირველი კვარტალის წინასწარ მონაცემებს. ზრდა ძირითადად განპირობებულია სააქციო კაპიტალის და რეინვესტიციის მაჩვენებლების გაზრდით.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა: პირველ ადგილზეა ესპანეთი – 196.1 მლნ. აშშ დოლარი (34.5%), მეორე ადგილზეა გაერთიანებული სამეფო – 87.2 მლნ. აშშ დოლარით (15.3 პროცენტი), ხოლო მესამეზე თურქეთი – 67.1 მლნ. აშშ დოლარით (11.8 პროცენტი).

2022 წლის პირველ კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 236.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (41.6%), მეორე ადგილზეა საფინანსო სექტორი – 111.1 მლნ. აშშ დოლარით (19.5 პროცენტი), ხოლო მესამეზე - უძრავი ქონების სექტორი 81.3 მლნ. აშშ დოლარით (14.3 პროცენტი) (www.geostat.ge).

პოსტპანდემიურ პერიოდში უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირების ძირითად მიმართულებას სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება წარმოადგენს. შეღავათებით სარგებლობს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორი. შეღავათებში იგულისხმება ფისკალური, ფინანსური და სხვა შეღავათები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოელი ინვესტორის გადაწყვეტილება ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელების შესახებ დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე და სხვადასხვა სახის შეღავათები არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, ინფრასტრუქტურას, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას და სხვ. ამ კრიტერიუმების მიხედვით დგინდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური რეიტინგები, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოელი ინვესტორები ინვესტიციების მიმართულების მიცემის დროს.

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესანარჩუნებლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

საკანონმდებლო დონეზე, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოში ინვესტიციების სტიმულირებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნა მიღებული.

საქართველოში ინვესტიციების მარეგულირებელი კანონი მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1991 წლის 25 ივლისს, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა 1995 წლის კანონის „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ მიღების შემდეგ. აღნიშნულმა კანონმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში.

1996 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოელი ინვესტორისათვის მეტი სტიმულის გაჩენას. კანონმა განსაზღვრა როგორც ადგილობრივი, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაცვის გარანტიები საქართველოში.

2002 წელს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, რომლის მიზანი სახელმწიფო საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის დარეგულირებაა. ეროვნული საინვესტიციო სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში.

2006 წლის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ მიზნად ისახავდა ინვესტიციების ხელშეწყობას აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით,

ასევე დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნას. მოცემული კანონი ინვესტორს შესაძლებლობას აძლევს მის კაპიტალდაბანდებას განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს, რაც მას მთავრობასთან უფრო გამარტივებული ურთიერთობისკენ უხსნის გზას. მოცემული კანონი ინვესტორს შესაძლებლობას აძლევს მის კაპიტალდაბანდებას განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს, რაც მას მთავრობასთან უფრო გამარტივებული ურთიერთობისკენ უხსნის გზას. აღნიშნული კანონი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კანონით დგინდება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის.

2013 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, რომლის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდის ნაირსახეობების განმარტება, შექმნის მიზნები და საქმიანობის განსაზღვრა. კანონის მიხედვით არსებობს: საპაიო საინვესტიციო ფონდი (ღია, ინტერვალური, დახურული); გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი; სააქციო საინვესტიციო ფონდი და სხვ., რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა.

აღსანიშნავია ასევე, რომ ინვესტორთა სტიმულირებისათვის საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი: საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი, დაწესდა საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სოციალური განვითარების სტრატეგიაში (საქართველო 2020), პირდაპირ მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა იქნება საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტორი, საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. მინიმიზირებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა და ა.შ..

2017 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდა კანონი, რომელიც ქონებისა და მომსახურების დოლარში რეალიზაციას კრძალავს. აღნიშნული რეგულაცია დედოლარიზაციის სამთავრობო პროგრამის ნაწილია და ის ძირითადად სამშენებლო და საავტომობილო ბაზრის დოლარიდან ლარში გადართვას ისახავს მიზნად.

მთავრობამ სამშენებლო სექტორის წახალისების მიზნით, 2020 წლამდე დღგ-სგან გაათავისუფლა 2008 წლის ფინანსურ კრიზისამდე დაწყებული და შემდეგ შეჩერებული პროექტების განვითარება.

2020 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოში საინვესტიციო ფონდების ბაზრის განვითარება, ამ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა და ინვესტორთა ინტერესების დაცვა.

აღსანიშნავია, რომ ინვესტორთა სტიმულირებისათვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი (საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი), დაწესდა საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მთავრობა საკანონმდებლო რეგულაციებით ხელს უწყობს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ინვესტორებისათვის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. ხშირად ადგილი აქვს კონფლიქტებს ინვესტორსა და მოსახლეობას შორის, რაც ხშირად ინვესტორების უკმაყოფილებას და ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ პროექტის ჩავარდნასაც კი იწვევს (ერქომაიშვილი, 2019, გვ.86).

აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი სამშენებლო სექტორზე მოდის (www.geostat.ge). ინვესტიციები ნაკლებადაა მიმართული ისეთი სექტორების ხელშეწყობისათვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი მრეწველობა, რისთვისაც საქართველოს გააჩნია სანედლეულო ბაზა და სამეურნეო ტრადიციები.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მთავრობა საკანონმდებლო რეგულაციებით ხელს უწყობს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ინვესტორებისათვის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. ხშირად ადგილი აქვს კონფლიქტებს ინვესტორსა და მოსახლეობას შორის, რაც ხშირად ინვესტორების უკმაყოფილებას და ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ პროექტის ჩავარდნასაც კი იწვევს. თანამედროვე პირობებში უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირების ძირითად მიმართულებას სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება წარმოადგენს. შეღავათებით სარგებლობს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორი. შეღავათებში იგულისხმება ფისკალური, ფინანსური და სხვა შეღავათები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოელი ინვესტორის გადაწყვეტილება ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელების შესახებ დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე და სხვადასხვა სახის შეღავათები არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, ინფრასტრუქტურას, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას და სხვ. ამ კრიტერიუმების მიხედვით დგინდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური რეიტინგები, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოელი ინვესტორები ინვესტიციების მიმართულების მიცემის დროს.

დასკვნები და წინადადებები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

პუი-ს მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორებია: ბიზნესის დაწყების სიმარტივე, გეოპოლიტიკური მდებარეობა, დაბალი გადასახადები, კრედიტის მიღების სიმარტივე, საკუთრების დარეგისტრირების სიმარტივე, ბუნებრივი რესურსები, რეგულაციების დაბალი ტვირთი, კორუფციის და კრიმინალის დაბალი მაჩვენებელი.

პუი-ს მოზიდვის ხელისშემშლელი ფაქტორებია: მცირე ბაზარი, მომუშავეთა დაბალი კვალიფიკაცია (მიუხედავად უმუშევრების დიდი რაოდენობისა დამსაქმებლებს უჭირთ მათთვის საჭირო სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მოძიება), მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა, ქვეყანაში კონფლიქტური ზონების არსებობა, კოვიდპანდემია და სხვ.

მნიშვნელოვანია ინვესტიციების სტიმულირება სოფლის მეურნეობის და მსუბუქი მრეწველობის მიმართულებით. სოფლის მეურნეობაში არსებითი როლი შეუძლია ითამაშოს ახლებურმა რეგიონულმა სპეციალიზაციამ, რაც ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური და ტრადიციული მეურნეობის პოტენციალის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. სოფლის მეურნეობის პროდუქცია არა მარტო კვების, არამედ მსუბუქი (საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, ტრადიციული რეწვის და სხვ.) მრეწველობის განვითარების წინაპირობა გახდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მიმართულებებს, რაც ქალთა დასაქმებას, და შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის რეემიგრაციას შეუწყობს ხელს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სახელმწიფო პოლიტიკაში შეიძლება გამოვყოთ მარკეტინგული პოლიტიკა, კერძოდ, ინვესტიციის მიმღები ქვეყნის იმიჯის ამაღლება ხორციელდება სარეკლამო ინფორმაციის გავრცელების საფუძველზე, რომელიც წარმოაჩენს მოცემულ ქვეყანას, მის პოტენციურ შესაძლებლობებს. ამისათვის გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სპეციალური გამოცემები, ტარდება დისკუსიები და სპეციალური შეხვედრები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ინვესტირების პირობების

ინფორმაციულ გაშუქებას. ეს მიმართულება საჭიროებს მნიშვნელოვან სახსრებს და როგორც წესი, ხორციელდება სახელმწიფო დონეზე. ხშირად ამისათვის სახელმწიფო ფინანსური საშუალებები არ არის საკმარისი. ასეთ დროს პრიორიტეტი ენიჭება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დარგებს.

ინვესტიციური პროექტების შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე რეგიონების ბუნებრივი, ისტორიული, ეთნოკულტურული და და ეკონომიკური თავისებურებები და მოთხოვნები. ამ მიზნით საჭიროა ინვესტიციების სტიმულირების რეგიონული მექანიზმების შემუშავება საგადასახადო და საბიუჯეტო პრეფერენციული ბერკეტების გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია:

Athukorala P. (2003). The Impact of Foreign Direct Investment for Economic Growth. www. researchgate.net

Dunning, J. (1981), Explaining the international direct investment position of countries: towards a dynamic or developmental approach, Weltwirtschaftliches Archiv

Dunning, J., Narula, R. (1996) (eds.), Foreign Direct Investment and Governments: Catalysts for Economic Restructuring, Routledge, London

Erkomaishvili G., Kobalava M., Lazariashvili T.,. Damenia N. (2018). Stimulating Policy for Attracting Foreign Direct Investment in Georgia. International Journal of Economics and Management Engineering Vol:12, No:10.

ერქომაიშვილი გ. (2019). რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა - ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.

ერქომაიშვილი გ. (2017). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალების კრებული, თბილისი, თსუ გამომცემლობა.

ერქომაიშვილი გ. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“ მასალების კრებული. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010), თბილისი.

ჭარაია ვ. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესიტიციების გაზრდის შესაძლებლობები საქართველოში, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.

http://www.economy.ge/?page=ecoleg&s=13 საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ (1996).

http://www.economy.ge/?page=ecoleg&s=13 საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ (2006)

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4924135?publication=2 საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ (2020)

www.parliament.ge - საქართველოს პარლამენტი

www.economy.ge - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

www.rs.ge - შემოსავლების სამსახური

www.mof.ge – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

REFERENCES

Athukorala, P. (2003). The Impact of Foreign Direct Investment for Economic Growth. www. researchgate.net

Dunning, J. (1981), Explaining the international direct investment position of countries: towards a dynamic or developmental approach, Weltwirtschaftliches Archiv

Dunning, J., Narula, R. (1996) (eds.), Foreign Direct Investment and Governments: Catalysts for Economic Restructuring, Routledge, London

Erkomaishvili G., Kobalava M., Lazariashvili T.,. Damenia N. (2018). Stimulating Policy for Attracting Foreign Direct Investment in Georgia. International Journal of Economics and Management Engineering Vol:12, No:10.

Erkomaishvili , G. (2019). Racionaluri Ekonomikuri Politika – Biznesmewarmeobidan socialuri Mewarmeobisaken mamozravebeli zala. Tbilisi, gamomcemloba „Universali“

Erkomaishvili , G. (2017). Pirdapiri ucxouri investiciebis mozidvis mastimulirebeli ekonomikuri Politika Saqartveloshi. Saertashoriso samecniero konferenciis „Globalizaciis gamowvevebi ekonomikasa da biznesshi“ masalebis krebuli. Tbilisi, TSU gamomcemloba.

Erkomaishvili , G. (2015). Pirdapiri ucxouri investiciebi da sainvesticio politika saqartveloshi. Saertashoriso samecniero-praqtikuli konferenciis „Erovnuli ekonomikebis Mdgradi ganvitarebis aqtualuri problemebi“ masalebis krebuli. Tbilisi, Paata Gugushvilis ekonomikis institute.

Saqartvelos sagadasaxado kodeqsi (2010). Tbilisi

Charaia, V. (2015). Pirdapiri ucxouri investiciebis gazrdis shesazleblobebi Saqartveloshi. Axalgazrda ekonomistta asociacia

http://www.economy.ge/?page=ecoleg&s=13 Saqartvelos kanoni „Sainvesticio saqmianobis xelshewyobisa da garantiebis shesaxeb“ (1996)

http://www.economy.ge/?page=ecoleg&s=13 Saqartvelos kanoni „Investiciebis saxelmwifo mxardacheris shesaxeb“ (2006)

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4924135?publication=2 Saqartvelos kanoni „Sainvesticio fondebis shesaxeb“ (2020)

www.parliament.ge Saqartvelos parlamenti

www.economy.ge Saqartvelos Ekonomikisa da Mdgradi ganvitarebis saministro

www.geostat.ge Saqartvelos Statistikis Erovnuli samsaxuri

www.rs.ge Shemosavlebis samsaxuri

www.mof.ge Saqartvelos Fnansta saministro